ფულის გათეთრებასა და ტერორიზმთან ბრძოლის აუცილებლობა და მექანიზმები ფინანსური სისტემის წარმოამდგენლებისთვის

მაკალათია ლელა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნებისშესაბამისად

საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი:ნიკოლოზ ყაველაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაკალათია ლელა

03/07/2022

აბსტრაქტი

ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლას დიდი ისტორია აქვს. დროთა განმავლობაში ქვეყნები მივიდნენ იმ დასკვნამდე რომ საჭირო იყო ამ საკითხთან საერთო ძალებით ბრძოლა, საერთო ბაზის შექმნა და საკუთარი გამოცდილების ერთმანეთისთვის გაზიარება. ვინაიდან ყველა ქვეყნისთვის ფულადი მასის კონტროლი და რეგულირება ეროვნული ბანკების მეშვეობით ხდება, სწორედ ეროვნული ბანკები უდგებიან სათავეში მათ ქვეყანებში არსებული ფინანსური ინსტიტუტებისთვის AML/CFT კუთხით ზედამხედველობის გაწევას. თავის მხრივ ეროვნული ბანკები მითითებებს და რეკომენდაციებს ღებულობენ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფისგან(FAFT).

კვლევის ფარგლებში მოძიებული იქნა წყაროები, რომლებმაც დაგვანახა თუ რა გზით ხდება ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება და რა რეგულაციები წესდება ამ მხრივ. ლიტერატურაში მიმოხილული იქნება მსოფლიო დონეზე გატარებული ცვლილებები და მიღებული რეკომენდაციები.

საქართველოში არსებული სიტუაციის მიმოხილვისთვის წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებულიი ცვლილებები და კანონები.

ჩატარებულია როგორც თვისობრივი ასევე რაოდენობრივი კვლევა, რომელიც დაფუძნებულია პირველად და მეორეულ მონაცემებზე. კვლევებმა დაადასტურა რომ ფულის გათეთრებას აქვს გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე, და მხოლოდ რეკომენდაციების გათვალისწინება არ არის ეფექტური სხვადასხვა ქვენყებში რისკიანი ტრანზაქციების აღმოსაფხვრელად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება, AML/CFT რეგულაციები, ფინანსურ ქმედებათა სპეციელური ჯგუფი

Abstract

The fight against money laundering and terrorist financing has a long history. Over time, countries have come to the conclusion that it was necessary to work together on this issue, to create a common base and to share their experiences to each otherAs monetary control for all countries is controlled and regulated by national banks, national banks are responsible for overseeing AML / CFT financial institutions in their respective countries. National Banks in turn receive guidance and recommendations from the Financial Action Task Force (FAFT).

For this research I found sources that show us how money laundering and terrorism are funded and what regulations are in place in this regard. By The literature , review the changes made worldwide and the recommendations made.

Changes and laws made by the National Bank of Georgia are presented to review the situation in Georgia.

Both qualitative and quantitative research based on primary and secondary data has been conducted. Studies have shown that money laundering has an impact on economic development, and only following the recommendations is not effective in eliminating risky transactions in different countries.

Key Words: Money Laundering, Financing Of Terorism, AML/CFT Regulations, Financial Action Task Force

მადლობა

მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ბ-ნ ნიკოლოზ ყაველაშვილს გაწეული შრომისთის და სასარგებლო რჩევებისთვის

მადლობას ვუხდი ასევე კვლევაში მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტებს, მათ ვინც გამოეხმაურა ჩემს მიერ გაგზავნილ კითხვარს.